მესამედ, იმავე ანგარიშით

მატჩისგან, რომელიც ჩემპიონატის დასრულების შემდეგ ეწყობა, რომელიც ამავე დროს ამხანაგურიც არის, ბუნებრივია ბევრს ვერ მოვითხოვთ. ეს ეხება როგორც სანახაობრივ, ისე სპორტულ მხარესაც. ორთავე მონაწილეს თბილისისა და მოსკოვის დინამოელებს, გუშინწინდელი შეხვედრა პირველყოვლისა სპორტული კონდიციების შესანარჩუნებლად სჭირდებოდა (დღეს მოსკოველები კიევის "დინამოს" ეთამაშებიან, 23 ნოემბერს კი თბილისელებს ელით მეტად საპასუხისმგებლო მატჩი უეფას თასზე). თამაში კორექტული, დროდადრო სწრაფიც გამოდგა. მატჩმა თავისი დანიშნულება უთუოდ გაამართლა, რაც შეეხება გატანილსა თუ მიღებულ გოლებს, მეტოქეებს არც ამისთვის მიუნიჭებიათ განსაკუთრებული მნიშვნელობა და მაინც ანგარიშმა (1:1) ზუსტად ასახა ძალთა თანაფარდობა მინდორზე.

მსუბუქი ტრავმის გამო თბილისელებს აკლდათ ხინჩაგაშვილი და ყიფიანი, დაცვის რიგებში ერთგვარი კორექტივები შეიტანეს მოსკოველებმაც. ნახევარდამცველი დოლმატოვი ამ დღეს მწმენდავის როლში მოგვევლინა. რამდენადმე დაძაბული ორთაბრძოლა ამ შეხვედრაში არ გამართულა. ფეხბურთელები თამაშობდნენ თავისუფლად, ყოველგვარი საგანგებო დავალების გარეშე.

პირველი ტაიმის მიწურულს სტუმართა მცველებმა საჯარიმოზე წააქციეს კოსტავა. თერთმეტმეტრიანი საჯარიმო, მართალია, მოიგერია პილგუიმ, მაგრამ ჩივაძის დარტყმის შემდეგ ბურთი მაინც კარში აღმოჩნდა. საპასუხო გოლი მოსკოველებმა 82–ე წუთზე გაიტანეს (კაზაჩონოკი). საინტერესოა, რომ ამ კოლექტივების წლევანდელი სამივე შეხვედრა ერთნაირი ანგარიშით დამთავრდა.

გუნდები ასეთი შემადგენლობით თამაშობდნენ: თბილისი "დინამო" – გაბელია, კოსტავა, კანთელაძე, ხიზანიშვილი, ბუჯირი, ჩივაძე, მ. მაჩაიძე, ქორიძე, გუცაევი (შენგელია), გ. მაჩაიძე (კოპალეიშვილი), ჩელებაძე მოსკოვის "დინამო" – პილგუი, პაროვი (მახოვიკოვი), ნიკულინი, კაზაჩონოკი, ბუბნოვი, პეტრუშინი (ნოვიკოვი), გერშკოვიჩი (კოლესოვი), დოლმატოვი, იაკუბიკი, მაქსიმენკოვი, მინაევი.

მატჩს სჯიდა რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი გ. გვენცელაძე (თბილისი).

”ლელო” 20.11.1977 წ.